**გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ განმარტებითი ბარათი**

გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების მოცულობა შეადგენს – 53 917,5 ათ. ლარს, მათ შორის: გადასახადები განისაზღვრა – 47 845,6 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც თავის მხრივ შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის – 42 945,6 ათ. ლარისა და ქონების გადასახადის – 4 900,0 ათ. ლარისგან. გრანტები – მიზნობრივი ტრანსფერი – 335,0 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები – 5 036.9 ათ. ლარის ოდენობით და არაფინანსური აქტივების კლება – 700,0 ათ. ლარის ოდენობით.

გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა – 54 917,5 ათ. ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით გათვალისწინებული იქნა საზოგადოებრივი ინტერესები და გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში თავად შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრიორიტეტული პროექტები რომელთა სავარაუდო მოცულობა 2022 წლის ბიუჯეტში – 2 980,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა შეადგენს 1 000,0 ათ. ლარს, რომელიც გულისხმობს 2022 წლის დასაწყისისათვის მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს.

ბიუჯეტის გადასახდელები წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების გარდა მიმართულია ბიუჯეტის 6 ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსებაზე, კერძოდ:

1. **ინფრასტრუქტურის განვითარებაზე** მიმართულია – 18 895,6 ათ. ლარი, მათ შორის:
   - **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული** – 6 584.6 ათ ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვას — 300,0 ათ. ლარის ოდენობით, გზების მშენებლობა და რეაბილიტაციას – 5 924.6 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს: გორში რაზმაძის ქუჩის რეაბილიტაციის დასრულებას – 206,0 ათ. ლარის დასრულებას, სოფელ ბერბუკში გზის რეაბილიტაციის დასრულებას – 379 500 ლარის ოდენობით, ქ. გორში, აღმაშენებლის გამზირის და სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაციის დასრულებას – 1 520,5 ა. ლარის ოდენობით, ქ. გორში, რუსთაველის ქუჩისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის დასრულება – 154,8 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, სააკაძის ქუჩის რეაბილიტაციას – 161,3 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის რეაბილიტაციას – 160,1 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაციას – 54,1 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ ტირძნისის შიდა გზების რეაბილიტაციას – 447,7 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ ზემო ნიქოზში, რკინიგზასთან მისასვლელი გზის მოწყობას – 205,7 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ ზემო ხვითში ცენტრალური გზიდან სკოლამდე და ტაძრამდე მისასვლელი გზის მოწყობას – 172,9 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, რობაქიძის ქუჩის რეაბილიტაციის დასრულებას – 451,0 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, ანტონოვის ქუჩის რეაბილიტაციას – 295,0 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, სასაფლაოს გზების რეაბილტაციას – 385,4 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, გვერდწითელის ქუჩის რეაბილიტაციას (ცხინვალის გზ-დან ყიფიანის ქუჩამდე) — 301,4 ათ. ლარის ოდენობით,

ქ. გორში 300 არაგველის ქუჩისა და გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის რეაბილიტაციას – 123,3 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, ჩერქეზიშვილის ქუჩის რეაბილიტაციას – 109,6 ათ. ლარის ოდენობით, ქ. გორში, გორისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიმონ პირველის ქუჩაზე არსებული ისტორიული კედლების რესტავრაცია-რეაბილიტაციას – 203,1 ათ. ლარის ოდენობით და სოფელ კარალეთში შიდა საუბნო გზის მოწყობა რეაბილიტაცის – 593,1 ათ. ლარის ოდენობით. საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების მოწყობას – 360,0 ათ. ლარის ოდენობით.

- **გარე განათებაზე მიმართული** – 2 860,0 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯს — 1 530,0 ათ. ლარის ოდენობით,გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვას – 330,0 ათ. ლარის ოდენობით და გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციას – 1 000,0 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს სოფელ კარალეთიდან სოფელ ერგნეთის საგუშაგომდე გარე განათების ქსელის მოწყობას.
- **წყლის სისტემის განვითარებაზე მიმართული** – 3 434,8 ათ. ლარი ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციას – 1 774,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც გულისხმობს: სოფელ შინდისში ე.წ. ხარებაანთ უბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულებას – 202,0 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ უფლისციხეში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულებას – 392,6 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ ზერტში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულება – 357,0 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ დიცში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულებას – 230,5 ათ. ლარის ოდენობით, სოფელ ქიწნისის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულებას – 490,2 ათ. ლარის ოდენობით და სოფელ შერთულის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის დასრულებას – 101,7 ათ. ლარის ოდენობით. სასმელი წყლის ღირებულების ანაზღაურებას – 320,0 ათ. ლარის ოდენობით, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობას – 807,3 ათ. ლარის ოდენობით, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაციას – 533,5 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართულია ქ.გორში ე.წ. „წმინდაწყლის“ დასახლებაში, გაუქმებული №2 სათავის ტერიტორიაზე ახალი გრუნტის წყლების განმტვირთველი სადრენაჟე სისტემის მოწყობის დასრულებაზე.
- **საბინაო ფონდის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართულია** – 405,0 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსებას – 333,0 ათ. ლარის ოდენობით და ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებას – 72,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **კეთილმოწყობა, სარეკრეაციო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართულია** – 1 357,9 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებს სკვერების, პარკების და გაზონების რეაბილიტაციას – 845,4 ათ. ლარის ოდენობით, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია – 2,5 ათ. ლარის ოდენობით, კეთილმოწყობის ღონისძიებებს – 410,0 ათ. ლარის ოდენობით და საახალწლოდ ქალაქგაფორმებას – 100,0 ათ. ლარის ოდენობით.
- **ინფრასტრუქტურული პროექტების მომსახურების უზრუნველყოფაზე მიმართულია** — 1 273,3 ათ. ლარის ოდენობით. რომელიც ითვალისწინებს საპროექტო

დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებას – 773,3 ათ. ლარის ოდენობით და დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსებას – 500,0 ათ. ლარის ოდენობით.

- **სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობაზე მიმართულია** – 2 980,0 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს გზების, სკვერების, სპორტული მოედნების, მუნიციპალური შენობების, გარე განათების, სანიაღვრე და სარწყავი არხების და სკოლამდელი დაწესებულებების მოწყობა-რეაბილიტაციას, ურნების და სპეციალური დანიშნულების ინვენტარის შეძენას,

2. **დასუფთავება და გარემოს დაცვაზე მიმართულია** – 3 240,0 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს: დასუფთავება და ნარჩენების გატანას – 2 600,0 ათ. ლარის ოდენობით და პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვას – 640,0 ათ. ლარის ოდენობით.
3. **განათლებაზე მიმართული** – 8 650,0 ათ. ლარი ითვალისწინებს: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობას — 8 600,0 ათ. ლარის ოდენობით და სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობას და თანადაფინანსებას – 50,0 ათ. ლარის ოდენობით.
4. **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსებაზე მიმართულია** – 6 226,8 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს სპორტის განვითარების ხელშეწყობას — 3 334,0 ათ. ლარის ოდენობით. აქედან: სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას – 385,0 ათ. ლარის ოდენობით, ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას – 786,0 ათ. ლარის ოდენობით და სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა – 2 163,0 ათ. ლარის ოდენობით. კულტურის სფეროს განვითარებას — 2 717,6 ათ. ლარის ოდენობით. აქედან: კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება – 120,0 ათ. ლარის ოდენობით, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა – 72,0 ათ. ლარის ოდენობით, კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა – 1241,0 ათ. ლარის ოდენობით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა – 210,0 ათ. ლარის ოდენობით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა – 610,0 ათ. ლარის ოდენობით, მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერლების ხელშეწყობა – 355,0 ათ. ლარის ოდენობით, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა – 64,8 ათ. ლარის ოდენობით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა – 40,0 ათ. ლარის ოდენობით და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა – 180,0 ათ. ლარის ოდენობით.
5. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმართულია** – 3 137,3 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვას – 1 451,7 ათ. ლარის ოდენობით. აქედან: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში – 135,0 ათ. ლარის ოდენობით. მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას – 1 207,4 ათ. ლარის ოდენობით და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფას – 478,2 ათ. ლარის ოდენობით.
6. **ეკონომიკურ განვითარებაზე მიმართულია** – 3 950,0 ათ. ლარი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებას – 295,0 ათ. ლარის ოდენობით, მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობას – 3 600,0 ათ.

ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირებას და მართვას – 40,0 ათ. ლარის ოდენობით.

7. **მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე მიმართული** - 10 832,8 ათ. ლარი ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერიის და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობას, ასევე სარეზერვო ფონდის, კადრების მომზადების, საგანგებო და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფის და წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვას და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფას.